პროექტი

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 11.11.2015, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.017921) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[1]“ ქვეპუნქტი:

„ზ[1]. მრჩეველი - პირი, რომელიც სახელმწიფო მოსამსახურეს ან სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებულ პირს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით აძლევს რჩევებს.“.

2. 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის IX[2] თავი:

„თავი IX[2]
მრჩეველი საჯარო სამსახურში

მუხლი 84[3]. მრჩევლის საქმიანობის ანაზღაურება

მრჩეველი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ.

მუხლი 84[4]. მრჩევლის მიღების წესი

პირი მრჩევლად მიიღება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მრჩევლის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად.“.

4. 126[1] მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გარდამავალ პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე (გარდა კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო, რელიგიური და წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა) არ ვრცელდება ამ კანონის (გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტებისა, 9[1] მუხლისა, 34-ე მუხლის მე-6 პუნქტისა, 35-ე, 36-ე და 39-ე–43-ე მუხლებისა, 84[1] მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტებისა, მე-5 პუნქტის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებისა და მე-6 და 6[1] პუნქტებისა, 84[2] მუხლისა და IX[2] თავის) მოქმედება. ამ პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, საჯარო სამართლის იურიდიულ

პირში შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები (გარდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკითხებისა) წესრიგდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**